საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ60. 60232993**

თარიღი:**26/10/2023**

ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მათხოჯში მდებარე
უძრავი ქონების ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული
აუქციონის ფორმით პრივატიზების (დემონტაჟი) შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 57-ე მუხლის, 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' N144 და ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' N145 განკარგულებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მათხოჯში მდებარე შენობა-ნაგებობა N01-ის (ს/კ 37.04.33.167, განაშენიანების ფართი N01-705.4კვ.მ, საერთო ფართი-1185.80კვ.მ) პრივატიზების (დემონტაჟი) შესახებ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით - 39750.0 (ოცდაცხრამეტიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი.
2. დაევალოს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურს (ხელმძღვანელი: ი.ჟორჟოლიანი) უზრუნველყოს ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი